განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

რეაბილიტაცია სპორტში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
14.11.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

28.11.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რეაბილიტაცია სპორტში
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრი 0915
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან ბერიძე სფასსს უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინა შავიანიძე აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თბილის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“ შემუშავებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში განსაზღვრული პროგრამის შემუშავების წესის შესაბამისად.
სამაგისტრო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“ ინიცირებულია პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, გათვალისწინებულია დამსაქმებელთა აზრი და კურსდამთავრე ბულთა გამოკითხვის შედეგები. პროგრამა აკრედიტირებულია 26. 11. 2014 №210. პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“ შეესაბამება ქვეყნის ჯანდაცვის ეპიდემიოლოგიურ, დემოგრაფიულ, სოციალურ პრიორიტეტებს. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, სწავლის ხანგრძლივობაა 2 წელი, 4 სემესტრი, 1 კრედიტი 30სთ, საათები გადანაწილებულია სალექციო, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოსათვის. პროგრამა არის მრავალკომპონენტიანი: თეორიულ-პრაქტიკულ ბლოკი ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსების სახით (62ECTS-კრედიტი), კლინიკური პრაქტიკა (22ECTS-კრედიტი), კვლევის ბლოკი (36 ECTS-კრედიტი, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის შესრულება-30 კრედიტი).
გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგების განვითარება - გაცნობა, გაღრმავება და ეტაპობრივი მიღწევა -განმტკიცება. პროგრამაში დისციპლინები ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, კომპონენტი ან კურსი ადექვატურია სწავლების მოცემული ეტაპისათვის და ეფუძნება უკვე მიღებულ ცოდნას და თავად ეს მოცემული კურსი შემდგომში წარმოადგენს საფუძველს მომდევნო ეტაპისატვის. კერძოდ, კლინიკური პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება ემსახურება თეორიულ-პრაქტიკული ბლოკის და კვლევის ბლოკის სასწავლო კურსებით მიღწეული სწავლის შედეგების განმტკიცებას.
პროგრამა ორიენტირებულია მაგისტრანტის აქტიურ ჩართულობაზე სასწავლო პროცესში, რასაც უზრუნველყოფს სწავლის მკაფიოდ გაწერილი მეთოდები (დისკუსია, ინტერაქტიური სწავლება, კლინიკური სიტუაციის ანალიზი, დისკუსია/დებატი, კვლევით პროექტებში ჩართულობა და სხვ.).
საგანმანათლებლო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“ ეყრდნობა სწავლის, სწავლებისა და შეფასების რეკომენდაციათა საერთო ევროპულ ჩარჩოს და მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალი კომპეტენციის მქონე, კრიტიკულად მოაზროვნე, ფართო სპექტრის პროფესიული უნარ-ჩვევების და დამოუკიდებელი კვლევის კომპეტენციის მქონე, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი ეროვნულ და საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის და სპორტსმენთა სამედიცინო რეაბილიტაციის სექტორისთვის.
სამაგისტრო ნაშრომის მზადება იწყება პირველ სემესტრში, ხელმძღვანელთან ერთად ხდება სამუშაო გეგმის გაწერა და რეგულარული კონსულტაციები მუშაობის პროცესში. მე-4 სემესტრის დასრულების შემდეგ, შემოდგომაზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.
სწავლების პერიოდში ყველა ეტაპზე სტუდენტებისათვის გაწერილია საკონსულტაციო საათები, თუმცა ინდივიდუალური, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, სტუდენტებს კონსულტაციის მიღება შეუძლიათ დამატებით - ხვდებიან პედაგოგებს კონსულტაციისათვის მათთვი აქტუალურ საკითხებზე და პრობლემებზე მსჯელობა-განხილვისათვის.

პროგრამა უზრუნველყოფილია ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, ეფექტურ ფუნქციონირებას და შესაძლებელს გახდის დასახული მიზნების მიღწევას. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულს მიენიჭება კვალიფიკაცია ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი უნივერსიტეტში შედგა 2019 წლის 14 ნოემბერს, წინასწარ დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა: ქეთევან ბერიძე - თავმჯდომარე, მარინა შავიანიძე - წევრი, ლანა ბოკუჩავა - წევრი;

შეხვედრა გაიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში; ვიზიტი მიმდინარეობდა დღის წესრიგის სრული დაცვით.

განხორციელდა შეხვედრა:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან:

ვიცე-რექტორები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კანცლერის მოადგილე, ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის უფროსი;

- თვითშეფასების ჯგუფთან:

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციი ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, თსსუ-ს პროფესიული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრის ხელმძღვანელი სტუდენტი; კურსდამთავრებული; დამსაქმებელი.

- პროგრამის ხელმძღვანელთან
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

პროგრამის ხელმძღვანელთან, ცალკეულ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრა განხორციელდა ინდივიდუალურად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერებული იქნა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრი, სიმულაციური სწავლების ცენტრი. ექსპერთტა ჯგუფის წევრები დარწმუნდნენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“ განხორციელდება კარგი ინფრასტრუქტურის პირობებში, სტუდენტებს ექნებათ კარგი პირობები განათლების მისაღებად. სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტებმა გააცნეს პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს ძირითადი მიგნებები და მოისმინეს ჯგუფის წევრებისაგან განმარტებები. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული მასალების ანალიზის, ინტერვიუების შედეგად ნათელი გახდა, რომ უნივერსიტეტი დაინტერესებულია საგანმანათლებლო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“ მაღალ დონეზე ორგანიზება-განხორციელებაში; პროგრამაში ჩართული ძირითადი და მოწვეული პერსონალი დაინტერესებულია პროგრამის განხორციელებით და განვითარებით, მზად არიან მუდმივად განაახლონ და გააუმჯობესონ სილაბუსები. აკრედიტაციის ექსპერთა ვიზიტი იყო ნაყოფიერი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა ეყრდნობა რეაბილიტაციი სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე სტანდარტებს. პროგრამის, თანდართული დოკუმენტაციის განხილვის და ინტერვიუს საფუძველზე შეფასდა პროგრამის ცალკეული სტანდარტი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მოცემული სტანდარტი შეფასდა შესაბამისობით აკრედიტაციის სტანდარტთან. პროგრამის მიზანი ნათლადაა ჩამოყალიბებული და სრულად შესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიებს; დეტალურადაა გაწერილი პროგრამის შედეგების შეფასება - კომპენტენციები, კონკრეტული სასწავლო კურსის, პროგრამის სამიზნე ნიშნულები; პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადექვატურობა - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან. ცალკეული კურსი პასუხობს პროგრამაში გაწერილ მიზნებს, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელების პროცესში.

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - სტუდენტებთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ სტუდენტები გრძნობენ მიკუთვნებულობას უნივერსიტეტთან, კმაყოფილნი არიან მათთვის შეთავაზებული სერვისებით და ადმინისტრაციის ჩართულობით სასწავლო პროცესსში; მიიჩნევენ, რომ ადმინისტრაცია და პროფესურა მუდმივად ზრუნავს მათზე მორგებული და ორიენტირებული გარემოს შექმნაზე, ითვალისწინებს მათ სურვილებს, ხელს უწყობენ დასაქმებაში სტუდენტის სურვილისა და ინტერესის შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში აქტიურად არიან ჩართულნი და ეხმარებიან სტუდენტებს ყველა ეტაპზე არა მხოლოდ ხელმძღვანელ(ებ)ი, არამედ ნებისმიერი აკადემიური და/ან მოწვეული სპეციალისტები სტუდენტის გადაწყვეტილებისა და საჭიროების მიხედვით.

სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - პროგრამის ფარგლებში დასაქმებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს გააჩნია სასწავლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. პროგრამა უზრუნველყოფილია კარგი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური საშუალებებით. ბიუჯეტი იქმნება სწავლის საფასურის და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია უნივერსიტეტი საერთო ბიუჯეტიდან დაფინანსებაც.

სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ახორციელებს გარე და შიდა შეფასებას, მიღებულ შედეგებს იყენებს მიმდინარე პროგრამისათვის.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა, როლური თამაშების და გონებრივი იერიშის, როგორც სწავლა-სწავლების მეთოდების, უფრო მეტად და ხშირად გამოყენება
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებაში გამოყენებული ქეისების ინფორმაციის გამდიდრება და გაღრმავება ფიზიოლოგიისა ან/და ბიოქიმიის კუთხით.

- ყველა პრაქტიკული მოდულის/საგნის დასკვნითი გამოცდა ტარდებოდეს OSCE-ის ფორმატში.

- სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების პროცესის ფორმალიზება

- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეცვლის პროცესის ფრომალიზება.
- ყველა სილაბუსში იყოს მითითებული მეტი ქართულენოვანი ლიტერატურა/საკითხავი მასალა
- სტუდენტების უკეთ ინფორმირებულობა სამეცნიერო ელექტრონული ბაზებით სარგებლობის შესახებ

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის მნიშვნელოვანი პროგრესია სასწავლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (სტუდენთთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების ანალიზის შედეგების საფუძველზე): დარგის თანამედროვე მოთხოვნებისა და პროგრამაში ჩამოყალიბებული სწავლის მოთხოვნების შესაბამისად, დაიხვეწა და შეიცვალა არსებითი კურსები, დაემატა რამდენიმე ახალი კურსი (ძირითადი და არჩევითი), დაემატა კლინიკური პრაქტიკის კურსი, გაძლიერდა აქცენტი და რესურსები კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების თვალსაზრისით, მეტი ყურადღება ეთმობა უწყვეტ პროფესიულ განვითარებას. საგულისხმოა, რომ არჩევით ბლოკში დაემატა ინგლისური ენა (CI)I, II და გერმანული ენა (CI)I, II რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს მაგისტრანტს სამეცნიერო უცხოენოვან ლიტერატურასთან მუშაობას და გაცვლით პროგრამებში ჩართვას (ინტრნაციონალიზაციას). რამდენიმე დისციპლინის თემატიკა ლოგიკურად გადანაწილდა და ინტეგრირდა სხვადასხვა სასწავლო კურსებში, რამაც შეამცირა თემატიკის დუბლირება და შესაძლებელი გახადა ადამიანური და მატერიალური რესურსების ოპტიმიზაცია. ორი დისციპლინა ინტეგრირდა ერთ კურსში, რაც განპირობებული იყო მწვავე პრობლემატიკის კომპლექსურად განხილვის მიზანშეწონილობით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“ მიზანია მოამზადოს მაღალი კომპენტენციის მქონე რეაბილიტოლოგები, რომლთაც ექნებათ კრიტიკული აზროვნება, ფართო სპექტრის პროფესიული უნარ-ჩვევები და დამოუკიდებელი კვლევის კომპენტენცია და შეძლებენ წარმატებულ მოღვაწეობას სპორტსმენთა სამედიცინო რეაბილიტაციის და სამეცნიერო-კვლევით სექტორიში. პროგრამის მიზნების განსაზღვრისას პროგრამის ხელმძღვანელი ეყრდნობოდა, ხელმძღვანელობდა და ითვალისწინებდა თსსუ-ის მისიას, სტრატეგიულ გეგმას, შრომის ბაზრისა და დამსაქმებეთა მოთხოვნის ანალიზს, ემორის სამედიცინო სკოლისა და კარდიფის მეტროპოლიტან უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობით მიღებულ ინფორმაციას. პროგრამის მიზნები ნათლად არის გაწერილი, კონკრეტული, მიღწევადი და რელევანტურია. კურსდამთავრებულები შეძლებენ უზრუნველყონ როგორც მაღალი მიღწევების სპორტსმენთა, პროფესიული სპორტის წარმომადგენელთა, ისე ფიზიკურად მოვარჯიშე პირთა ტრავმების რისკის შემცირება და სხვადასხვა ტიპის პათოლოგიური მდგომარეობის პრევენცია, სარეაბილიტაციო შეფასება, ინტერვენცია და სარეაბილიტაციო მართვის ეფექტურობა სპორტსმენის სპორტში ოპტიმალურ ფიზიკურ კონდიციაში დაბრუნებისთვის; პროგრამის მიზნები და შედეგები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. სამაგისტრო პროგრამის მიზნები სრულად შეესაბამება უნივერსიტეტი დეკლარირებულ მისიას, მიზნებსა და სტრატეგიებს, ითვალისწინებს ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სისტემაში რეაბილიტაციის სამსახურის განვითარების და განხორციელების მაღალ მოთხოვნას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თსსუ-ის მისია, ხედვა, ღირებულებები - თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №24/10დადგენილებით - http://new.tsmu.edu/content/2/42/0/0/0/0; • თსსუ-ის სტრატეგიული გეგმა; • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; • ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა - თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მარტის №24/7დადგენილებით;

- თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის და სკრენტონის უნივერსიტეტის (აშშ) ერთობლივი ტელეხიდების ვებ-რესურსები;
- www.tsmu.edu
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„რეაბილიტაცია სპორტში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით მიღწეული სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და განაპირობებს იმ ძირითადი ცოდნის და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას, ასევე პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელიც პროგრამის მიზანშია გაწერილი და ამასთან, პროგრამით მიღწეული შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში, მეორე საფეხურისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) და მაგისტრის კვალიფიკაციას. კერძოდ, პროფესიული კომპეტენციის თვალსაზრისით სამაგისტრო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“ კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულებისას ექნება სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, მისი კრიტიკული გააზრება, პრობლემის გადაწყვეტის და კვლევის უნარი, პრაქტიკული უნარები, მულტი/ინტერდისციპლინურ გარემოში მოქმედება და ავტონომიურობა, პროფისიონალიზმი, სწორი დამოკიდებულებები, ღირებულებები; შეუძლია დამოუკიდებელი სწავლა და პროფესიული განვითარება.

სამაგისტრო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“ სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. კონკრეტულ სასწავლო კურსებში, სხვადასხვა კომბინაციით, წარმოდგენილია ცოდნის შემოწმების ისეთი პირდაპირი ფორმები როგორიცაა ტესტი, ესე, პრეზენტაცია, ქეისის ჰოლისტიკური შეფასება, მულტიდისციპლინარულ გუნდში ჩართულობა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირება და სხვ. არაპირდაპირი შეფასებისათვის გამოიყენება სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა რაოდენობა, და დასაქმებულთა მაჩვენებლი.

პროგრამის მოდულში დაბალანსებულია თეორიული და პრაქტიკული სწავლება. თეორიული სწავლება მოიცავს ლექციებს, ლიტერატურის მოძიება-დამუშავება-რეფერირებას, რეფერატული მოხსენებების მომზადებას, სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებში მონაწილეობას (სტუდენტები მონაწილეობას იღებენ როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო კონფერენციებში). პრაქტიკული მეცადინეობების (შეჭრილი პრაქტიკა) დროს სტუდენტი ესწრება და მონაწილეობს გარჩევებში; ამ ეტაპზე მიღებული ცოდნა, კლინიკური პრაქტიკის ეტაპზე საშუალებას აძლევს მაგისტრანტს აქტიურად იყოს ჩართული პროცესში: დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს პრაქტიკული აქტივობები (ხელმძღვანელთან შეთანხმებით).

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შემუშავებულია „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომელშიც განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების, ეტაპების, მეთოდების და პროცედურების ერთობლიობა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, მათ შეგროვებას და მონაცემთა ანალიზს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში ხდება 3 წლის პერიოდულობით და ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: სტუდენტთა აკადემიური მიღწევების, სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, მობილობის, განთესვის/პროგრამის დასრულების მაჩვენებლების ანალიზი; სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის კვლევა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის დახვეწა, მასში ცვლილებების შეტანა.

სამაგისტრო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“ სწავლის შედეგები მიღწევადია და ეთანადება დარგის სპეციფიკას და საჭიროებებს, არსებულ და პოტენციურ დამსაქმებელთა პროფესიულ მოთხოვნებს, ასევე, გათვალისწინებულია მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა და კურიკულუმის რუკა
  პროგრამის სილაბუსები
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“

• თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი, თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის №24/4 დადგენილება • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი • სამაგისტრო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“ დამსაქმებელთა გამოკითხვა • სტუდენტების გამოკითხვა თსსუ-ის ხარისიხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე „რეაბილიტაცია სპორტში“ მიღების წინაპირობაა: ✓ ერთიანი (ეროვნული) სამაგისტრო გამოცდის დადებითი შეფასება, ✓ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში/ ✓ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრთან გათანაბრებული ✓ აკადემიური ხარისხი/ დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში და ტესტირება ინგლისურ ენაში B2– დონის ფლობის დასადგენად. აღნიშნული მოთხოვნები უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის წარმატებით ათვისებას და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“ • საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ • თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის #24/5 დადგენილებით • დამტკიცებული-დებულება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის შესახებ. • თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტები აღიარების წესი • www.tsmu.edu • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის

სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“ შედგენილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი განსაზღვრულია თსსუ-ს მაგისტრატურის დებულებით(„საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“); პროგრამა ინიცირებულია პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას: ერთიანი (ეროვნული) სამაგისტრო გამოცდის დადებითი შეფასება, ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში/ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი/ დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი; შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში და ტესტირება ინგლისურ ენაში B2– დონის ფლობის დასადგენად სამაგისტრო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“ მოიცავს 120 ECST კრედიტს, 1 კრედიტი - 30სთ. სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს, 4 სემესტრი. კრედიტები კომპონენტების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად: თეორიულ პრაქტიკული ბლოკი 54 კრედიტი; კლინიკური პრაქტიკის მოდული - 22 კრედიტი, კვლევის ბლოკი 36 კრედიტი, არჩევითი საგნები - 8 კრედიტი. თეორიული ბლოკი მოიცავს 13 საგანს და გადანაწილებულია ძირითადად პირველ ორ სემესტრზე; კლინიკური პრაქტიკის მოდული მოიცავს 3 როტაციას და ხორციელდება მე-3 სემესტრში; მე-4 სემესტრი მთლიანად ეთმობა კვლევასა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას; არჩევითი საგნები გადანაწილებულია პირველ 3 სემესტრზე. სასწავლო პროგრამის ოთხივე სემესტრი მოიცავს განსხვავებულ მოდულებს, ყველა მოდული სწავლების შესაბამისი ეტაპის ადექვატურია და თითოეული მათგანი ეფუძნება მაგისტრანტის მიერ უკვე მიღებულ ცოდნასა და უნარებს. სტუდენტებისათვის შეთავაზებულია არჩევითი საგნების ალტერნატიული სილაბუსები, რაც საშუალებას იძლევა აირჩიონ კომპონენტი სასწავლო და კვლევითი ინტერესების მიხედვით. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლის ფორმები იძლევა ამ კომპონენტის წარმატებით დაძლევის საშუალებას. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია; შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სამაგისტრო პროგრამაზე „რეაბილიტაცია სპორტში“ მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS). პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და მაგისტრანტის მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 5.01.2007 შესაბამისად. დასკვნითი გამოცდის ფორმები საგნების მიხედვით განსხვავებულია: ზეპირი, ტესტური, კომბინირებული (ტესტი+პრაქტიკული უნარების დემონსტრირება და სხვ). პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროა, შემოკლებული ვერსია განთავსებულია ვებგვერდზე. მაგისტრანტს შეუძლია პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი

ინფორმაციის მიღება პროგრამის ხელმძღვანელთან, დეკანთან, ხარისხის სამსახურში. პირველი სემესტრის დაწყებამდე სტუდენტებთან ტარდება საორიენტაციო შეხვედრა.

პროგრამა შედგენილია თსსუს მაგისტრატურის დებულების შესაბამისად, მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით; პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“ , შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს; სამაგისტრო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“ შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“
- კურიკულუმის რუკა
- პროგრამის სილაბუსები
- პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროგრამაში „რეაბილიტაცია სპორტში“ განხორციელდა რიგი ცვლილებები აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების, საერთაშორისო მოთხოვნების, ასევე მაგისტრანტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით. დაიხვეწა არსებული კურსები და დაემატა ძირითადი და არჩევითი კურსები, გაძლიერდა სხვადასხვა, მათ შორის ასაკობრივი კონტექსტი, კლინიკური პრაქტიკის კომპონენტი (22კრედიტი); რამდენიმე დისციპლინის თემატიკა ლოგიკურად გადანაწილდა და ინტეგრირდა სხვადასხვა სასწავლო კურსებში, რამაც შეამცირა თემატიკის დუბლირება და შესაძლებელი გახადა ადამიანური და მატერიალური რესურსების ოპტიმიზაცია. ორი დისციპლინა ინტეგრირდა ერთ კურსში, რაც განპირობებული იყო მწვავე პრობლემატიკის კომპლექსურად განხილვის მიზანშეწონილობით.

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამით „რეაბილიტაცია სპორტში“ გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. პროგრამის ყველა კურსის სილაბუსი შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სამაგისტრო დონის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსში მოცემული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3, 05.01.2007 ბრძანებით გათვალისწინებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. თსსუ-ში მოქმედი რეგულაციით 1 ECTS-კრედიტი=30 საათს. სასწავლო კურსის დაგეგმვისას და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულია როგორც საკონტაქტო, ისე არასაკონტაქტო საათები, მათი მოცულობა და მათ შორის თანაფარდობა ადექვატურია და შეესაბამება კურსის სპეციფიკას.

საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლება-სწავლის მეთოდის გათვალისწინებით სხვადასხვაა და შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სასწავლო კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი გაზომვადია და ადეკვატურად ფასდება.

სტუდენტთა ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება შესაბამისი კომპონენტები; ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია რუბრიკების მიხედვით (0,5 ან 1 ბიჯით).

თითოეულ სილაბასუსში მითითებულია ლიტერატურა და სასწავლო მასალა, რომელიც შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებსა და კვლევებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“მიზნებისა და სწავლების შედეგების რუქა და კურიკულუმის რუქა
- პროგრამის სილაბუსი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია ყველა სილაბუსში იყოს მითითებული მეტი ქართულენოვანი ლიტერატურა/საკითხავი მასალა • სტუდენტების უკეთ ინფორმირებულობა სამეცნიერო ელექტრონული ბაზებით სარგებლობის შესახებ
ასაუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“, სწავლის შედეგებისა და სამაგისტრო საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და მათ ჩართვას პრაქტიკული უნარების განმავითარებელ პროექტებში. სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის ძირითადი კურსების უმეტესობა ითვალისწინებს პრაქტიკას, კვლევითი უნარების განმავითარებელ ერთ-ერთ საწყის კომპონენტს - რეფერატს, პრეზენტაციას (შერჩეული თემის მომზადებას რელევანტური კვლევის მეთოდების გამოყენებით), კლინიკური შემთხვევის დამუშავებას კვლევითი მეთოდების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის შედეგების გამოიყენებით. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდა ძირითად სასწავლო კურსებში პრაქტიკული სწავლება-სწავლის მეთოდების დახვეწა (ლაბორატორიული მეცადინეობების ფორმატის დამატებით) და პროგრამაში კლინიკური პრაქტიკის კომპონენტის გამოყოფა და მისი ადეკვატური კრედიტ-მოცულობით, შინაარსით, სწავლის შედეგებით, მათი მიღწევის გზებით და შეფასების კრიტერიუმებით უზრუნველყოფა.

გათვალისწინებულ იქნა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და პროგრამის უცხოელი პარტნიორების რეკომენდაციები. კლინიკური პრაქტიკის კომპონენტები დაგეგმილი და ორგანიზებულია თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად და შედგება სამი როტაციისგან: სპორტული რეაბილიტაციის ამბულატორიული კლინიკური პრაქტიკის როტაცია (8 კრედიტი), სპორტული რეაბილიტაციის სტაციონარული კლინიკური პრაქტიკის როტაცია (6 კრედიტი) და როტაცია სპორტული გუნდის/კლუბის გარემოში (8 კრედიტი). კლინიკური პრაქტიკის შესაფასებლად გამოიყენება სათანადო კრიტერიუმები და მათი აღმწერი რუქები. სასწავლო კურსებში ე.წ. ჩაშენებული პრაქტიკის დროს, რომელიც წარმოადგენს პასიურ პრაქტიკას, სტუდენტი ძირითადად დამკვირვებლის როლშია ან ასისტირებს ხელმძღვანელს; კლინიკური პრაქტიკის დროს მაგისტრანტი აქტიურადაა ჩართული პროცესში: თვითონ გეგმავს და ახორციელებს პრაქტიკულ აქტივობებს ხელმძღვანელთან შეთანხმებით პრაქტიკის განხორციელებაში, უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ჩართული არიან პრაქტიკის ბაზების წამყვანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი გაწერილია სასწავლო გეგმის შესაბამისად და სასწავლო პროცესის განმახორციელებელი უზრუნველყოფს სწავლებას, სათანადო ცოდნის მიწოდებას და პრაქტიკული სილაბუსების ფარგლებში რეაბილიტაციისათვის აუცილებელი პროცედურების ჩატარებას. სამაგისტრო პროგრამაში ,,რეაბილიტაცია სპორტში“ კვლევითი კომპონენტის განხორციელება იწყება პირველი სემესტრიდან, თანმიმდევრულად ხორციელდება ყველა ეტაპზე ხდება კვლევითი პროექტის შესრულება, სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯარო დაცვა. სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი ასრულებს მაღალკვალიფიციური პირის ხელმძღვანელობით. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის შერჩევა ხდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულების შესაბამისად. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“ სტუდენტები ჩართული იყვნენ სამეცნირო პრაქიკულ ადგილობრივ და საერთაშორისო ტურებში და ტრენინგებში. დამსაქმებელთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მემორანდუმები სწავლის ყველა ეტაპზე ითვალისწინებს სტუდენტის მხარდაჭერას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში“ • პროგრამის სილაბუსები • ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან; • თსსუ-ს მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის საბჭოს ოქმები • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) პროგრესად უნდა ჩაითვალოს პროგრამაში „რეაბილიტაცია სპორტში“ კლინიკური პრაქტიკის (3 როტაცია) შემოტანა და ის ფაქტი, რომ სასწავლო კურსის ხელმძღვანელთან და კურსის მასწავლებელთან ერთად, ჩართულიარიან ე.წ. კლინიკური ინსტრუქტორები - პროგრამის კურსდამთავრებული მაგისტრები რომლებიც მომზადდნენ ფიზიკური თერაპევტის შესაბამისი კლინიკური უნარების სწავლებისათვის, და უცხოელი პარტნიორები - პროფესიონალი ფიზიკური თერაპევტები (თსსუ-ის პარტნიორი ინსტიტუციის-ემორის სამედიცინო სკოლის ფიზიკური თერაპიის პროგრამის წარმომადგენლები, USAID-ის საქართველოში ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში), რომელთა გამოცდილება მეტად ღირებულია როგორც კლინიკური პრაქტიკის კომპონენტის, ისე მთლიანად პროგრამის დახვეწა/განვითარებაში.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „რეაბილიტაცია სპორტში“ სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურთან, სასწავლო კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას; სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების შემდეგი ფორმები: • ინტერაქტიული ლექციები, სემინარები, • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, • შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება/კლინიკური შემთხვევის შესწავლა,

- პრაქტიკული მეცადინეობები,
- სწავლება სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენებით,

2019-2020 სასწავლო წლიდან ერთ-ერთ სავალდებულო/ძირითად სანაგში „სპორტული დატვირთვის ფიზიოლოგი და ბიოქიმია“ ტარდება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, აქვე აღსანიშნავია, რომ ეს მეთოდი არ არის გამოყენებული სხვა საგნებში („საყრდენმამოძრავებელი სისტემის დაზიანებები სპორტში, კლინიკური შეფასება და მართვა“, „სპორტის კარდიოლოგია“ და „კინეზოთერაპია და ფუნქციური რეაბილიტაცია“), რაც ნახსენები იყო „რეაბილიტაცია სპორტში“ სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში. ასევე სტუდენტების გამოკითხვის შედეგების მიხედვით, კითხვაზე „გაკმაყოფილებდათ თუ არა, პრაქტიკულ მეცადინეობებზე გამოყენებული სწავლების მეთოდები (შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, როლური თამაშები, გონებრივი იერიში და სხვ.) მასალის გაანალიზებაში?“ მხოლოდ 23%-მა გასცა დადებითი პასუხი, 34% - გასცა უარყოფითი პასუხი, ხოლო 41% - ნაწილობრივ დაეთანხმა.

მნიშნელოვანი ნაწილი „რეაბილიტაცია სპორტში“ სამაგისტრო პროგრამაში უკაავია პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითრება და გაღრმავება, რისთვისაც გამოყენებულია შემდეგი სწავლება-სწავლის მეთოდები:

- პრაქტიკული მეცადინეობები
- ლაბორატორიული სავარჯიშოები

სტუდენტების და კურსდამთავრებულის ინტერვიუს დროს აღნიშნულ იქნა მეტი პრაქტიკული გამოცდილების შეძენის სურვილი.

ასევე აღსანიშნავია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (გრაფიკის) შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გამოკითხვის შედეგები
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში
- პროგრამის სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისა, როლური თამაშების და გონებრივი იერიშის, როგორც სწავლა-სწავლების მეთოდების, უფრო მეტად და ხშირად გამოყენება
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებაში გამოყენებული ქეისების ინფორმაცის გამდიდრება და გაღრმავება ფიზიოლოგიისა ან/და ბიოქიმიის კუთხით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი "რეაბილიტაცია სპორტში" სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის შეფასება ხდება სასწავლო სილაბუსის ფარგლებში. შეფასება აღწერილია როგორც პროგრამაში, ისევე თითოეულ სილაბუსში, არის გამჭვირვალე და შეესაბამება სწვალ-სწავლების მეთოდებს. შეფასება იტვალისწინებს სასწვალო კურსების სპეციფიკას, მოიცავს აკადემიურ აქტივობას, კლინიკური შემტხვევების განხილვას და ა.შ. შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებას და მოიცავს შემდეგს: • ერთი აკადემიური წელი საშუალოდ მოიცავს 60 კრედიტს. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით: • შეფასების სისტემით დაშვებულია: ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება: (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%.

ბ. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(Fx) ვერ ჩაბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა

დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის

უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ

სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი

ახლიდან აქვს შესასწავლი.

ყველა შეფასების ფორმა დეტალურად აღწერილია სილაბუსებში და ცნობილია სტუდენტებისთვის. აქვე აღსანიშნავია, რომ უმჯობესია ყველა პრაქტიკული მოდულის/საგნის დასკვნითი გამოცდა ტარდებოდეს OSCE-ის ფორმატში.

„რეაბილიტაცია სპორტში“ სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს, სამაგისტრო ნაშრომის შფასებას, რომელცი ასევე გამჭვირვალეა, მაგ,:

სამაგისტრო ნაშრომის 51 და მეტი ქულით შეფასებისას ნაშრომი ითვლება დაცულად

შეფასების ქულათა შემდეგი გრადაციით:

91-100 ქულა – საუკეთესო ნაშრომი,

81-90 ქულა – ძალიან კარგი ნაშრომი,

71-80 ქულა – კარგი ნაშრომი,

61-70 ქულა – საშუალო დონის ნაშრომი,

51-60 ქულა – დამაკმაყოფილებელი ნაშრომი,

0-50 ქულა – არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი.

ნაშრომი ფასდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის საკვალიფიკაციო კომისიის

დახურულ სხდომაზე დაცვის დასრულებისთანავე.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება არის გამჭვირვალე და ყველასთვსი ცნობილი, თუმცა შეფასების გასაჩივრების ფორმალიზება შესაძლებელია უფრო დეტალურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „რეაბილიტაცია სპორტში
- პროგრამის სილაბუსები
- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დებულება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • ყველა პრაქტიკული მოდულის/საგნის დასკვნითი გამოცდა ტარდებოდეს OSCE-ის ფორმატში. • სამაგისტრო ნაშრომის შეფასების გასაჩივრების პროცესის ფორმალიზება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

“რეაბილიტაცია სპორტში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი იღებს, სათანადო ინფრომაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე. ჩარიცხვის შემდგომ ხორცილდება სატელეფონო კომუნიკაცია ყველას სტუდენტთან, ტარდება შეხვედრები, რომელსაც მარტავს სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად.

სტუდენტს უტარდება სათანაადო კონლუსტაციები, რომლის ცხრილიც ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

კონსულტაციების გაწევა ეხება როგორც ლექტორებს, ისევე პროგრამის ხელმძღვანელს და ვალდებულები არიან გაუწიონ კონსულტაცია და დაეხმარონ სტუდენტს სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვასა და წარმართვაში, ასევე, აკადემიური მიღწევები ს გაუმჯობესებაში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონესტუდენტისთვის და თსსუ–ის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი „სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის

შემუშავების წესის "მიხედვით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ხდება სტუდენტის

საჭიროებებზე მორგებული ინდივიდური სასწავლო გეგმის შედგენა.

თსსუ-ს პერსონალი, კერძოდ დეკანატი და ლექტორები, უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას სტუდენტებისათვის შესაძლო კარიერული განვითარების შესახებ.

თსსუ-ს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში და კონფერენციებში. მაგალითად, 2019 წლის თებერვალ–მარტში სამაგისტრო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“ ორმა სტუდენტმა/მაგისტრანტმა - ქეთევან სივსივაძემ და ლეილა ჩანტლაძემ თსსუ-ის და USAID-ის პარტნიორული პროგრამის ფარგლებში - „ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტი საქართველოში“ ერთკვირიანი ტრენინგი გაიარეს ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში (აშშ), სადაც აქტიურად ჩაერთვნენ ფიზიკური თერაპიის პროგრამის თეორიულ-პრაქტიკულ-კლინიკურ აქტივობებში და მიიღეს მეტად ღირებული ცოდნა და გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანაწესი,
- თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დებულება
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის დებულება
- სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდამობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი;
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;
- სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

- ვებ გვერდი: tsmu.edu
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„რეაბილიტაცია სპორტში“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ყავთ ერთი ან ორი კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილება. თსსუ-ს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს, როგორც სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, ასევე სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას აუცილებელი კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით, ხელმძღვანელი უწევს კონსულტირებას სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში (მაგ., კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი; სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს თსსუ-ს მაგისტრატურის დებულების შესაბამისად; რეკომენდაციები ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესების შესახებ). ასევე სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის ხელმძღვანელი აცნობს თსსუ მაგისტრატურის სამსახურის დებულებას, სადაც დეტალურად არის გაწერილი ყველა დეტალი სამასგიტრო ნაშრომის წერის, გაფორმების და პრეზენტაციის მომზადების წესები.

სტუდენტს აქვს უფლება შეცვალოს ხელმძღვანელი, თუმცა ამ საკითხის ფორმალიზება უმჯობესი იქნებოდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 29 დეკემბრის №24/2 დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“

o პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV o პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები. o ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-

კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესს და მის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელს ლელა მასხურიას გააჩნია აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობის სამეცნიერო და აკადემიური პერსონალით. პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით. სამაგისტრო პროგრამა რეაბილიტაცია სპორტში ჩართულები არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, თითოეულ პირს გააჩნია აუცილებელი კომპეტენცია, სამეცნიერო და პედაგოგიური გამოცდილება, რაც დასტურდება მათი საქმიანობით ბოლო 5 წლის განმავლობაში. პროგრამაში ჩამრთულია 22 აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული სპეციალისტი. სულ აკადემიური პერსონალი 10, პროფესორი 3, ასოცირებული პროფესორი 6, ასისტენტ პროფესორი 1, აფილირებული აკადემიური პერსონალი 10, აფილირებული პროფესორი 3, აფილირებული ასოცირებული პროფესორი 6, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი 1, მოწვეული პერსონალი 12. აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურადაა ჩართული სტუდენტების კონსულტირებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე • საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქცია • აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები • თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია • ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დებულება • თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობისთვის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის დატვირთვა • თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტი • თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი • თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი • თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შერჩევის წესი • პერსონალის შეფასების წესი

- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები
- თსსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი
- აკადემიური პერსონალის შეფასების კვლევა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ახდენს ადმინისტრაცია და სტუდენტი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სასწავლო დეპარტამენტების მიერ შემუშავებულია კითხვარები, სტუდენტების მიერ სასწავლო კურსისა და პედაგოგის შესაფასებლად. სემესტრის და/ან კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი ავსებს კითხვარს (ანონიმურად) . გამოკითხვის შედეგებს აანალიზებს პროგრამის/დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. მიღებული შედეგები და რეკომენდაციები განიხილება დეპარტამენტის და საბჭოს სხდომებზე, საჭიროების შემთხვევაში აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალთან. 2019-2020 ს.წ-დან უნივერსიტეტში ამოქმედდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესები.

დაწესებულება რეგულარულად ზრუნავს აკადემიური სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალის შეფასებისას ყურადღება ექცევა არა მარტო სასწავლო, არამედ სამეცნიერო საქმიანობასაც. კერძოდ ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, სილაბუსების განახლება და სრულყოფაში, სასწავლო მასალების შემუშავებაში და სხვა. ასევე სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, სამეცნიერო ნაშრომების ანალიზი, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება, მონაწილეობა და სხვა. აგრეთვე აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაცია, მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებულია 56 ნაშრომი, საერთაშორისო ჟურნალში 90, ადგილობრივ კონფერენციაზე გაკეთდა 24 მოხსენება, საერთაშორისოზე 67, სხვა სამეცნიერო მაჩვენებლები 48 (სამეცნიერო გრანტები, პროექტები და სხვა). უნივერსიტეტში მოქმედებს სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპრტამენტი და აკადემიური განვითარების ცენტრი, სადაც რეგულარულად ტარდება აკადემიური პერსონალისა და მოწვეული მასწავლებლების ტრენინგები „სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში“. ასევე, 2019 წლის მაისში ამავე დეპარტამენტში AMEE-ის (ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაცია) მიერ განხორციელდა სამედიცინო განათლების საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა. აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სემინარებში და კონფერენციებში. ბოლო 5 წლის პერიოდში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ 67 საერთაშორისო კონფერენციაში, სემინარებსა და მასტერ–კლასებში მონაწილეობა მიიღო პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიური თანამდებობის მქონე პირებმა; ასევე როფესიული ტრენინგი გაიარეს 2019 წლის თებერვალ–მარტში მორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლაში (აშშ), ხოლო 2019 წლის მარტ-აპრილში ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის (ავსტრია) საუნივერსიტეტო კლინიკაში. 2017 წლის დეკემბერში უნივერსიტეტში შესაბამისი უფლება–ვალდებულებების და კომპეტენციის პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგი „მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პროგრამის ხელმძღვანელმა
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები • თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა • საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, გამოქვეყნებული შრომები, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, და სხვა). • აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიული და/ან სწავლების უნარის განვითარებას • თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის №24/6 დადგენილებით დამტკიცებული „თსსუ-საკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“; • თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 მარტის №24/7 დადგენილებით დამტკიცებული „თსსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი“;

- თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 27 აპრილის №23/6 დადგენი-ლებით დამტკიცებული „თსსუ-ში აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი და საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტი“;
- თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 მარტის №23/3 დადგენილებით დამტკიცებული ,,საჯაროსამართლისიურიდიულიპირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ურუნველყოფილია ინფრასტუქტურით და ტექნიკური ბაზით და ხორციელდება შემდეგ სტუქტურულ ერთეულებში: თსსუ-ს პირველი სასწავლო კორპუსი, თსსუ-ს სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის კლინიკური ცენტრი- მეოთხე კორპუსი, თსსუ-ს პირველი საუნივერიტეტო კლინიკა. ასევე უნივერსიტეტთან ხელშეკრულების მქონე კლინიკებში. შპს ფიზიოთერაპიისა და სპორტული ტრავმის კლინიკა, დავით ტატიშვილის სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი, ქალაქ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი, ააიპ. საპროტეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდი, შპს სიმონ ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა და სხვა.

საგანმანათლებლო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“ სილაბუსებში გათვალისწინებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა წარმოდგენილია უნივერსიტეტი ბიბლიოთეკაში. სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული წიგნებით; ბიბლიოთეკა მოიცავს 3 წიგნსაცავს, პერსონალის სამუშაო ოთახებს, სივრცეს ბიბლიოთეკით მოსარგებლეებისათვის (3კომპიუტრული დარბაზი, სამკითხველო დარბაზი, ჯგუფური მუშაობისათვის 2 დარბაზი,უცხოური ლიტერატურის 3 დარბაზი, ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი; სრულად აღჭურვილია საჭირო

ინვენტარით, კომპიუტერებით, მულტიფუნქციური პრინტერებით, პროექტორებით. უზრუნველყოფილია ინტერნეტით, Wi-Fi.

სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს ფართო წვდომა აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე: (WHO) პროგრამის Research4life ელექტრონული ბაზები (HINARI, AGORA, OARE და ARDI); საგამომცემლო კორპორაცია Elsevier-ის ორ საძიებო ბაზაზე; უფასო წვდომა BMJ-ის ორ რესურსზე _ BMJ best Practice და BMJ Learning და უბლიკაციების გამოქვეყნებაზე.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისა და პროფესურისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-თან აფილირებული და ხელშეკრულებით დაკავშირებული კლინიკები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- თსსუ-ში სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები მატერიალურ რესურსებთან მიმართებაში;
- მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია /ინვენტარიზაციის მასალები;
- თსსუ-ის სასწავლო ფართის შესახებ;
- ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი: http://new.tsmu.edu/library/
- თსსუ ბიბლიოთეკის დებულება
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- Research4life ელექტრონული ბაზების (HINARI, AGORA, OARE და ARDI) მოხმარების ლიცენზია;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს, რესურსებისა და მომსახურების შესახებ
- 2018-2019 წლებში შეძენილი ლიტერატურა, მათ შორის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის პროგრამებისთვის
- ინტერვიუს შედეგები

.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“ ძირითად რესურსს შეადგენს საგანმანათლებლო საქმიანობიდან შემოსავლები. საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად მიღებული სახსრებით ხდება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება. პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მისი ფუნქციობისთვის საჭირო ყველა ხარჯი. პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ბიუჯეტში, შესაბამისად თსსუ-ის ნაერთ ბიუჯეტში. პროგრამის ბიუჯეტში არ არის გაწერილი უსდ-ის მიერ პროგრამის მხარდაჭერა, ვინაიდან აღნიშნულის საჭიროება არ არსებობს, რადგან პროგრამის შემოსავლები სრულად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ საჭიროების შემთხვევაში უსდ-ის მიერ სრულიად შესაძლებელია პროგრამის მხარდაჭერა. დღეისათვის ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა საშუალებას პროგრამის სასწავლო პროცესი და კვლევითი კომპონენტი განხორციელდეს სრულყოფილად და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“ 2019 წლის ბიუჯეტი • თსსუ-ის 2019 წლის ბიუჯეტი • ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის 2019 წლის ბიუჯეტი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. თსსუ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობაზე. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, თსსუ-ს აკადემიურ საბჭოს დამტკიცებული აქვს ხარისხის განვითარების პოლიტიკა. პოლიტიკის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის და აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას. კერძოდ, პროფესორ-მასწავლებლის ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, სილაბუსების განახლებისა და სრულყოფის, სასწავლო მასალების შემუშავების პროცესში, ასევე, სამეცნიერო ღონისძიებებში, მათ ორგანიზებაში, საგრანტო პროექტებში მონაწილეობას, და სხვ. აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში, რაც

ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

თსსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, შემუშავება და განვითარება მიმდინარეობს ეტაპობრივად.

შექმნილია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) მონაწილეობას, პროგრამის განხორციელების უწყვეტ მონიტორინგს და მუდმივ განვითარებას. მოწოდებული საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფის პროცესში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეპარტამენტებში უნივერსიტეტისა და საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი ძალისხმევით სისტემატიურად მიმდინარეობს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა აკადემიურ პროცესთან დაკავშირებით, რის შედეგად განხორციელდება სათანადო ღონისძიებები კურიკულუმის განვითარების და პროგრამაში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად; ამის მაგალითია პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები - ზოგიერთი სასწავლო კურსის მოდიფიცირება, კრედიტ-მოცულობები შეცვლა და სხვ. ასევე გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა პრაქტიკული კურსის გაძლიერების საჭიროება, რაც აისახა პროგრამაში სამი პრაქტიკული როტაციის შემოტანით.

რეგულარულად ხდება რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების შეგროვება პროგრამის შეფასების მიზნით. რეგულარულად ტარდება გამოკითხვა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის და სხვადასხვა დანიშნულებით სპესიალურად შედგენილი კითხვარების მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობბით. კითხვარები განთავსებულია ვებგვერდზე; გამოკითხვები ანონიმურია; თსსუ-ში ხელმისაწვდომია სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისათვის გამოკითხვის SurveyMonkey -ის სისტემა;

2015-2018 წლებშისამგისტრო პროგრამის სრული კურსი დაასრულა და დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი 12 მაგისტრანტმა და მიიღო მაგისტრის წოდება, 4 მაგისტრანტს აქვს შეჩერებული. სამაგისტრო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თსსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის, 9 მარტის №23/3 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისია და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა
- http://new.tsmu.edu/content/2/0/0/0/0/0;

- http://new.tsmu.edu/content/2/49/0/0/0/0
- თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები
- სტუდენტების გამოკითხვა პროგრამის განმახორციელებელ დეპარტამენტებში
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი მიზნები და სამოქმედო პრინციპები (ხარისიხის განვითარების პოლიტიკა) http://new.tsmu.edu/content/5/126/0/0/0/0
- თსსუ-ის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების წესი (თსსუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომის დადგენილება, 2018 წლის 21 მარტის №24/7)
- აკადემიური პერსონალის შეფასების კვლევა
- თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 მარტის №24/6 დადგენილებით დამტკიცებული „თსსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“
- თსსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის, 29 დეკემბრის №24/2 დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმებისწესი“
- თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის საბჭოს ოქმები (ოქმი №6, 04.04.2019, დადგენილება №7 „თსსუ-ის სამაგისტრო პროგრამაზე „რეაბილიტაცია სპორტში“თვითშეფასების ჯგუფების დამტკიცების შესახებ)
- თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის ოქმები
- თსსუ-ის სამაგისტრო პროგრამის „რეაბილიტაცია სპორტში“ თვითშეფასების ჯგუფის ოქმები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს მიმდინარე პროგრამების შეფასებისათვის; შემფასებლის შერჩევისას ძირითადი კრიტერიუმებია: რეპუტაცია, დარგობრივი კომპენტენციები, შეფასებითი მუშაობის გამოცდილება. ხარისხის გარე შეფასება ხდება გარე ექსპერტების მიერ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ძირითადი რეკომენდებული ნიშნულები საგანმანათლებლო პროგრამის გარე საექსპერტო შეფასებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ძირითადი რეკომენდებული ნიშნულები საგანმანათლებლო პროგრამის გარე საექსპერტო შეფასებისათვის; • ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კრიტერიუმები საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის და ასევე სამაგისტრო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები; შექმნილია მონიტორინგის ჩატარების პროცედურის ერთიანი სისტემა სათანადო უკუკავშირებით. 2018 წლიდან ელექრონული სისტემით ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა. შემუშავდა სტუდენტთა გამოკითვების და დამუშავების ელექტორონული

სისტემა. 2015წლიდან სამაგსტრო პროგრამა რეაბილიტაცია სპორტში აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ პარტნიორებთან. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სამაგისტრო პროგრამის შემთხევაში ხდება 3 წლის პერიოდულობით. სტუდენტების გამოკითხვა ხდება ყოველ სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ. სტუდენტებს შეუძლიათ ანონიმურად შეაფასონ აკადემიური პერსონალი. ERASMUS პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროგრამის დადარება ანალოგიურ პროგრამასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გამოკითხვების ანალიზი; • სამაგისტრო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; • თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები; • ინტერვიუ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, მაგისტრანტებთან, კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: რეაბილიტაცია სპორტში

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ქეთევან ბერიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მარინა შავიანიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ლანა ბოკუჩავა